პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

24 მარტი, სამშაბათი, 1987 წ.
№ 58 (9469) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თამაშების კვირეული

კარგი ტრადიცია მკვიდრდება: საკავშირო სპორტსახკომმა მასობრივ-სპორტული ღონისძიებების საკავშირო კალენდარი შეიმუშავა და, ამდენად, შეჯიბრებებს, რომლებიც ადრე ეპიზოდურად ტარდებოდა, ახლა ოფიციალური სტატუსი მიენიჭა. ჩვენმა გაზეთმა გამოაქვეყნა მასობრივი ღონისძიებების საკავშირო კალენდარი (იხ. „ლელო", 12 მარტი, 1987 წ.). გუშინ სპორტული თამაშების საკავშირო კვირეული დაიწყო. ეს ღონისძიება მოსწავლეთა საგაზაფხულო არდადეგებს საგანგებოდ დაამთხვიეს. ასე რომ, ჩვენს ნორჩ თაობას შესაძლებლობა ეძლევა აქტიურად დაისვენოს, მხიარულად გაატაროს არდადეგები. ახლა მთავარია ყველგან მაქსიმალურად გამოვიყენოთ შესაძლებლობები. კვირეული რეზერვების გამოვლენა-ამოქმედებაშიც დაგვეხმარება. ამ ღონისძიებამ ყველგან უნდა გამოაცოცხლოს ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობა. ადგილებზე შემუშავებული აქვთ კონკრეტული გეგმა; გათვალისწინებულია თამაშებში მოსწავლეთა გარდა სტუდენტების, მშრომელების, მთლიანად ოჯახების მასობრივი მონაწილეობა. ღონისძიებებს ყველგან საზეიმო ელფერი მიეცემა. სპორტულ ბაზებზე ყველაფერი უნდა იღონონ, რომ კვირეული ორგანიზებულად ჩატარდეს. უნდა მოაწესრიგონ გასახდელები, საშხაპეები. რაც მთავარია, ღონისძიების ორგანიზატორებს სპორტული ბაზების მთელი კოლექტივების თანადგომა დასჭირდებათ. მაგალითი რესპუბლიკის მთავარმა სპორტულმა კერებმა უნდა მოგვცენ. თბილისის „დინამოს" სტადიონი და სპორტის სასახლე მზადაა ცალკეულ ღონისძიებათა მასპინძლობისთვის. ორგანიზატორებმა წინასწარ უნდა წარუდგინონ განაცხადები ბაზების ხელმძღვანელებს.



კვირეულის ჩატარებას ყველა დიდი პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ. „ლელო" სისტემატურად გამოაქვეყნებს მასალებს ამ ღონისძიების მიმდინარეობის შესახებ.

დაგვირეკეთ: 93-97-50, 93-97-55.



## კახა წაქაძე — სსრ კავშირის ჩემპიონი

საუკეთესო ჭაბუკი მფრინავი მოთხილამურეები (1969 წელსა და შემდეგ დაბადებულნი) შეიკრიბნენ პერმის ოლქის ქალაქ ჩაიკოვსკში გამართულ ქვეყნის პირველობაზე 70-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში. თავი ისახელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის I კურსის სტუდენტმა, 18 წლის ბაკურიანელმა სპორტის ოსტატმა კახა წაქაძემ („დინამო"). იგი პირველ ცდაზე 83 მეტრზე გადახტა, მეორეზე კი 4,5 მეტრით შორს იფრინა, 212,6 ქულა მოაგროვა და ჭაბუკთა შორის ქვეყნის ჩემპიონის წოდება მოიპოვა.

აღსანიშნავია, რომ მას მედგარ წინააღმდეგობას უწევდა ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო ახალგაზრდა მხტომელი, სპორტის ოსტატი ედუარდ სუბაჩი (კრასნოიარსკი), რომელიც 211,5 ქულით მეორე ადგილზე გავიდა. მესამე შედეგი აქვს მოსკოველ რომან კეროვს — 210,8.

„ლელოს" კორ.

• • •

სურათზე: კახა წაქაძე ასპარეზობისას.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

## მომავლის ავანსით

თბილისი. სპორტის სასახლე. 22 მარტი.

„დინამო" (თბილისი) — „სპარტაკი" (ლენინგრადი) 73:73 (41:28).

„დინამო": კაპუსტინი (25), ტიუზინი (18), დარსაძე (16), ბოროდაჩოვი (12), გიორგობიანი (7), ფერიაშვილი, ტალაბაძე, ოპოშნიანი.

„სპარტაკი": გრიშაევი (26), გორინი (17), კუზნეცოვი (8), კისელიოვი (6), ზარჩენკოვი (6), უგრიუმოვი (4), პავლოვი (4), კოროლიოვი (2), ჟარკოვი.

მსაჯები: ო. გორბატოვი (კუიბიშევი) და ვ. მუხინი (ბაქო).

სუპერფინალის პირველი მატჩი თბილისის „დინამომ" მოიგო. ბრძოლა ლენინგრადში გაგრძელდება. „სპარტაკს" გადამწყვეტი შეხვედრების წინ აქვს ერთგვარი უპირატესობა — რევანშის შემთხვევაში მატჩს შინ ჩაატარებს.

მაგრამ როგორც არ უნდა დამთავრდეს ეს პრესტიჟული მიკროტურნირი, ერთი რამ ცხადია: თბილისის „დინამომ" სეზონის უპირ-

იხ. მე-3 გვ.





გასულ შაბათ-კვირას ჩატარდა ჩვენი ქვეყნის რეგბისტთა უმაღლესი ლიგის 24-ე საკავშირო ჩემპიონატის პირველი ტური. თბილისის გუნდებმა — „ლოკომოტივმა" და „შევარდენმა" პირველი მატჩები „ლოკომოტივის" სტადიონზე გამართეს. ამ ფოტოზე აღბეჭდილია თბილისის „ლოკომოტივისა" და მოსკოვის „ფილის" შეხვედრის ეპიზოდი. (იხ. მე-4 გვ.).

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

## მესხსა და ბიკოვას ვერცხლის მედლები

მოსკოვი. ჩოგბურთელ ქალთა ზამთრის საკავშირო ჩემპიონატი მოულოდნელი შედეგით დამთავრდა. პირველი ადგილი და ოქროს მედალი 15 წლის კიეველმა მოსწავლემ ნატალია მედვედიევამ მოიპოვა (საკავშირო კლასიფიკაციაში მას 23-ე ადგილი უკავია). ნორჩმა ჩოგბურთელმა თანმიმდევრულად დაამარცხა საბჭოთა კავშირის მესამე ჩოგანი, მოსკოველი სვეტლანა პარხომენკო, შარშანდელი ზამთრის ჩემპიონი თბილისელი ლეილა მესხი, ლვოველი ლარისა სავჩენკო და ბოლოს — ფინალში მოსკოველი ნატალია ბიკოვა.

წყვილთა თანრიგში ოქროს მედლები ლვოველმა ლარისა სავჩენკომ და მოსკოველმა სვეტლანა პარხომენკომ მოიპოვეს. ფინალში მათ მესხისა და ბიკოვას დუეტი დაამარცხეს.

ელვა-ინფორმაცია

### მხოლოდ აკაკი კიბორძალიძე

დიდი ინტერესი გამოიწვია ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირმა, რომელიც პოტსდამში (გდრ) გაიმართა. საბჭოთა ნაკრები გუნდიდან მხოლოდ ერთი ფალავანი — აკაკი კიბორძალიძე (მძიმე წონა) ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე.

ვულოცავთ ქართველ ძიუდოისტს ამ ბრწყინვალე წარმატებას.

პიონერთა სასახლეების საკავშირო პირველობა

## ლაზარაშვილმა დაამარცხა მსოფლიო ჩემპიონი

პიონერთა სასახლეების საკავშირო პირველობის I ტურის შემდეგ ლიდერობა ხელთ იგდო თბილისის გუნდმა, რომელმაც ანგარიშით 8:6 დაამარცხა მასპინძელთა გუნდი — ბაქოელ მოჭადრაკეთა ნაკრები. გუნდების კაპიტნები არიან ცნობილი მოჭადრაკეები. თბილისის ნაკრების წევრმა ალექსანდრე ლაზარაშვილმა ფარ-ხმალი დააყრევინა თვით მსოფლიო ჩემპიონს, ბაქოელთა ნაკრების კაპიტანს გარი კასპაროვს. თბილისელთა გუნდის კაპიტანი, საერთაშორისო ოსტატი ზურაბ აზმაიფარაშვილი ერთადერთია, ვინც პირველ ტურში ნორჩ მოჭადრაკეებთან არ დამარცხებულა.

ყაიმით — 7:7 დამთავრდა მოსკოვისა და სვერდლოვსკის, ტომსკისა და ხარკოვის გუნდების შეხვედრები.

ცნობა ალექსი ლაზარაშვილზე: იგი 15 წლისაა, სწავლობს თბილისის 31-ე სკოლის VIII კლასში, 8 წელია თამაშობს ჭადრაკს. არის საქართველოს ჩემპიონი უმცროს ასაკში. ამას წინათ მოიგო თბილისის ჭადრაკის სასახლის პირველობა. მწვრთნელებია რეზო მეგრელაძე და ბაგრატ გვენცაძე.

# სამბოს უნდა მოვუაროთ

## (ფიქრები საკავშირო ჩემპიონატის შემდეგ)



ტაშკენტის სპორტის სასახლე „იუბილეინი" ოთხი დღის განმავლობაში სამბისტთა საკავშირო ჩემპიონატის მონაწილეებს მასპინძლობდა. თუ როგორ დამთავრდა, ეს „ლელოს" მკითხველებმა უკვე იციან, მაგრამ ჩვენ არ დავარღვევთ ტრადიციას და პირველ რიგში ჩემპიონატის პრიზიორთა ვინაობას გაგაცნობთ:

**48 კგ.** 1. ა. ხოდირევი (მოსკოვი), 2. ა. შაიხიევი (ყაზახეთი), 3. ს. კონდრაშკინი (მოსკოვი) და ი. პისკარიოვი (უზბეკეთი).

**52 კგ.** 1. ვ. ფაიზიევი (უზბეკეთი), 2. გ. ტუტხალიანი (სომხეთი), 3. ვ. ტიხონოვი (ყირგიზეთი) და ა. მუსაბეკოვი (ყაზახეთი).

**57 კგ.** 1. ა. ნოვიკოვი (ლენინგრადი), 2. ი. გაბდულხაკოვი (რსფსრ), 3. ე. სულთანოვი (აზერბაიჯანი) და გ. კვანი (მოსკოვი).

**62 კგ.** 1. ა. აკსიონოვი, 2. ი. ალიოხინი (ორივე — რსფსრ), 3. გ. კაზარიანი (სომხეთი) და ე. ვასიაგინი (რსფსრ).

**68 კგ.** 1. ვ. იაპრინცევი (ბელორუსია), 2. ნ. ანამუხამედოვი (თურქმენეთი), 3. ე. ესინი (რსფსრ) და კ. კუზმინი (უკრაინა).

**74 კგ.** 1. ე. ხალიკოვი (უზბეკეთი), 2. ვ. ბუხვალი (ბელორუსია), 3. ნ. ზუევი და ვ. შვაია (ორივე—რსფსრ).

**82 კგ.** 1. ჯ. მჭედლიშვილი (საქართველო), 2. გ. ხაიბულაევი (რსფსრ), 3. გ. ჩერტკოევი (რსფსრ) და გ. ევდოკიმოვი (ლენინგრადი).

**90 კგ.** 1. ხ. ხაპაი, 2. ა. პუშნიცა (ორივე — რსფსრ), 3. რ. ბედანოკოვი (ბელორუსია) და ს. ზლობინი (უკრაინა).

**100 კგ.** 1. ვ. გურინი (რსფსრ), 2. პ. ბინდლერი (ბელორუსია), 3. ი. სმირნოვი და ნ. ქიხარიოვი (ორივე — მოსკოვი).

**მძიმე.** 1. ვ. შკალოვი, 2. ვ. რატოვი (ორივე — მოსკოვი), 3. ვ. ემელიანოვი (ბელორუსია) და ვ. სერდიუკოვი (უკრაინა).

ერთი სიტყვით, ჩვენი რესპუბლიკის მოჭიდავეებმა უზბეკეთის დედაქალაქიდან მხოლოდ ერთი ოქროს მედალი ჩამოიტანეს. ამიტომ თავდაპირველად ჯემალ მჭედლიშვილის წარმატებაზე შევჩერდებით. ჩვენმა ჩემპიონმა უზბეკეთის დედაქალაქში 6 შეხვედრა ჩაატარა და ექვსივე მოიგო:

1 წრეში ზუბკოვთან (ესტონეთი) — გაიმარჯვა აშკარა უპირატესობით, 2 წრეში შალიკოვთან (ბელორუსია) — 3-ქულიანი უპირატესობით, 3 წრეში სილიაკოვთან (მოსკოვი) — ქულებით, 4 წრეში ჯემალ მჭედლიშვილი ისვენებდა, 5 წრეში ევდოკიმოვთან (ლენინგრადი)—სამქულიანი უპირატესობით (შეგახსენებთ, რომ ევდოკიმოვი მსოფლიო თასის მფლობელია), 6 წრეში ჩერტკოევთან (რუსეთის ფედერაცია) — 3-ქულიანი უპირატესობით (ჩერტკოევი მსოფლიო ჩემპიონი გახლავთ), 7 წრეში ხაიბულაევთან (რუსეთის ფედერაცია) — 3 ქულიანი უპირატესობით. ამ სტენოგრამიდან კარგად ჩანს რომ მჭედლიშვილს საკმაოდ ძლიერი მეტოქეები ჰყავდა და ამიტომ მისი წარმატება მნიშვნელოვანია.

სხვა პრიზიორი ამ ჩემპიონატში ჩვენ არა გვყოლია. არადა, რესპუბლიკიდან საასპარეზოდ 14 მოჭიდავე დაუშვეს. ლევან ბასილაშვილმა (52 კგ) მეხუთე ადგილი დაიკავა, შირვან ფარჯანაძემ (62 კგ) — მეშვიდე. დანარჩენმა მონაწილეებმა ან ორივე სასტარტო შეხვედრა წააგეს და ცხადია, მაშინვე გამოეთიშნენ შეჯიბრებას, ან ერთი გამარჯვების შემდეგ ორჯერ ზედიზედ დამარცხდნენ. გამოდის, რომ ჯემალ მჭედლიშვილის გარდა მესამე წრეს (უკეთეს შემთხვევაში) ვერავინ გასცდა. რასაკვირველია ცუდი შედეგია.

თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ორი მოჭიდავე დაშავდა და შეჯიბრებას ამის გამო გამოეთიშა. ლევან ბასილაშვილი და მსოფლიოს ექსჩემპიონი სერგეი ტერნოვიხი ექიმებმა მოხსნეს.

ახლა გადავხედოთ რესპუბლიკების წარმომადგენელთა მიერ მოპოვებულ საპრიზო ადგილებს, რაც დაინტერესებული მკითხველისთვის ერთგვარი დამატებითი ინფორმაცია იქნება:

| | ოქრო | ვერცხლი | ბრინჯაო |
|---|---|---|---|
| რუსეთის ფედერაცია | 3 | 4 | 5 |
| მოსკოვი | 2 | 1 | 4 |
| უზბეკეთი | 2 | — | 1 |
| ბელორუსია | 1 | 2 | 2 |
| ლენინგრადი | 1 | — | 1 |
| საქართველო | 1 | — | — |
| ყაზახეთი | — | 1 | 1 |
| სომხეთი | — | 1 | 1 |
| თურქმენეთი | — | 1 | — |
| უკრაინა | — | — | 3 |
| აზერბაიჯანი | — | — | 1 |
| ყირგიზეთი | — | — | 1 |

მართალია, ჩემპიონატი პირადი იყო, მაგრამ რესპუბლიკის მოჭიდავეთა გამოსვლა ამ მაჩვენებლების მიხედვითაც არადამაკმაყოფილებლად უნდა მივიჩნიოთ. ტაშკენტის ჩემპიონატის შედეგების შეჯამება საქართველოს სამბისტთა უფროს მწვრთნელს ნუგზარ ხუციშვილს ვთხოვეთ. აქ ერთი უხერხულობა იყო, რასაც არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს. ნუგზარ ხუციშვილი სულ ერთი თვეა, რაც ნაკრების უფროს მწვრთნელად დაინიშნა, ამიტომ მას, ცხადია, ბევრს ვერ მოვთხოვთ, მაგრამ, ვფიქრობთ, ახალ უფროს მწვრთნელს უფრო მეტის დანახვა შეეძლო და სუსტი გამოსვლის მიზეზებზე უფრო ობიექტურად იმსჯელებს. სხვათა შორის ეს მას არსებულ ჩამორჩენის მიზეზების აღმოფხვრაშიც დაეხმარება.

მაშ ასე, პირველი კითხვა უფროს მწვრთნელს:

● **რა თქმა უნდა, კმაყოფილი არ იქნებით ჩემპიონატის შედეგებით?**

— როგორ შეიძლება კმაყოფილი იყო ერთი პრიზიორით, ისიც ჩვენი რესპუბლიკისთვის ისეთ პოპულარულ სახეობაში, როგორიც ჭიდაობაა.

● **ვიცით, რომ ჩემპიონატზე ორი მოჭიდავე დაშავდა. მართალია, ლევან ბასილაშვილი და სერგეი ტერნოვიხი დიდი ძალაა ჩვენი გუნდისთვის, მაგრამ შეცვლიდა კი ხურათს მათი კარგი გამოსვლა?**

— გააჩნია რა გაქვთ მხედველობაში. ბასილაშვილი და ტერნოვიხი საპრიზო ადგილებზე რომ გასულიყვნენ, ერთის ნაცვლად სამი პრიზიორი გვეყოლებოდა, მაგრამ არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში ალბათ არაფერი შეიცვლებოდა. ამ ჩემპიონატში ჩვენი გუნდი VII-VIII ადგილებზე უკეთეს შედეგს არ იმსახურებდა.

● **ერთი თვეა, რაც გუნდი აიყვანეთ. რა მოგცათ ამ ერთმა თვემ?**

— ჩემი უფროს მწვრთნელად დანიშვნის მეორე დღეს ბორჯომში საქართველოს სამბისტთა ჩემპიონატი ჩატარდა. გუნდი პირველად იქ ვნახე და რალა დაგიმალოთ, მოჭიდავეთა ფიზიკური მომზადება არ მომეწონა. ხალიჩაზე ხუთ წუთზე მეტს ვერავინ ძლებდა. მივხვდი, რომ პირველ რიგში სპორტსმენთა ფიზიკური კონდიციის გაუმჯობესება იყო საჭირო. ამიტომ გადავწყვიტე დატვირთვა გამეძლიერებინა.

● **ჩვენი სამბისტები, წარსულშიც კი, როცა კარგად გამოდიოდნენ, ჩოქბჯენში სუსტად გამოიყურებოდნენ.**

— სრული სიმართლეა. ჩოქბჯენი ჩვენს სამბისტებს არ უყვარგოდათ და მეცადინეობის დიდ ნაწილს სწორედ ამ ნაკლის გამოსწორებას ვანდომებდით. მაგრამ ამ ძვალსა და რბილში გამჯდარი ნაკლის დაძლევას დროს სჭირდება, დიდი დრო და თავად მოჭიდავეთა მონდომება. ჩემი მუშაობა ნაკრების წევრებთან პირველ რიგში სწორედ ამ ნაკლის გამოსწორებას ისახავს მიზნად.

● **გადახალისდა თუ არა ძველი ნაკრები?**

— საქართველოს ჩემპიონატის შემდეგ რესპუბლიკის ნაკრებში ათი ახალი მოჭიდავე ჩაირიცხა. ყველანი ახალგაზრდები არიან. საერთოდ ახალგაზრდებზე ვიღებთ კურსს. მათი გაზრდა გაცილებით ადვილია.

● **ჩემპიონატი ორი-სამი დღის წინ დამთავრდა, მაგრამ ალბათ უკვე გესახებათ კონკრეტული სამომავლო გეგმები.**

— ჩემპიონატმა, უკვე გითხარით, დაგვანახა, რომ ჩვენი ბიჭები ჩოქბჯენში მოისუსტებენ, არადა სამბოში ყველაფერი მეტწილად ჩოქბჯენში წყდება. დგომში უკეთესად ჭიდაობენ. ამის გამო დახმარება საბჭოთა კავშირის ნაკრების ხელმძღვანელებს ვთხოვე და მათგან თანხმობაც მივიღე.

● **რაში გამოიხატება ეს დახმარება?**

— აპრილში ჩვენი ქვეყნის ნაკრები გუნდი სავარჯიშოდ ბელორუსიაში „სტაიკებში" მიდის. ჩვენ იქ რვა პერსპექტიულ მოჭიდავეს გავგზავნით, მეც თან გავყვები მათ. უკეთეს სკოლას და პირობებს კაცი ვერც ინატრებს. იქ უმთავრესად ფიზიკურ დატვირთვაზე ვიმუშავებთ და ჩოქბჯენში ჭიდაობასაც ვასწავლით ახალგაზრდა სამბისტებს.

● **საქართველოს ყოველთვის ჰყავდა ძლიერი სამბისტები. რა არის საჭირო, თქვენის აზრით, ამ კარგი ტრადიციის აღსადგენად?**

— თბილისში და რაიონებში ბავშვთა ბევრი ჯგუფებია შექმნილი სამბოს პროფილით, მაგრამ სამბისტის ჩოხა ჯერ არავის, არც მომეცადინესა და არც მწვრთნელს არ ჩაუცვამს. ვარჯიშობენ მხოლოდ ძიუდოში. ჩემი აზრით, ეს ჯგუფები ისევ სამბოს ჯგუფებად უნდა ვაქციოთ. სრულფასოვანი რეზერვის გარეშე წარმატებას ვერ მივაღწევთ.

● **რა უნდა იყოს იმის მიზეზი, რომ ძიუდოს მეტი ახალგაზრდა ეტანება, სამბოს — ნაკლები?**

— ეს ძველისძველი ტენდენციაა და ერთ მცდარ შეხედულებას ემყარება. აქაოდა, ახალგაზრდა მოჭიდავის წინაშე ძიუდოში მეტი პერსპექტივები იშლებაო. მტკნარი სიცრუეა. სამბოში კარგა ხანია ტარდება მსოფლიოს პირველობა, ევროპის ჩემპიონატი, მსოფლიოს თასის გათამაშება, როგორც მოზრდილთა, ისე ჭაბუკთა შორის. ვისაც ძალა ერჩის, მას სამბოშიც შეუძლია თავის გამოჩენა.

● **დიდი დროა საჭირო იმისათვის, რომ არსებული მდგომარეობა გამოსწორდეს?**

— სულ ცოტა ორი წელი მაინც.

● **ნუთუ ამდენი?**

— იქნებ გებევრათ, მაგრამ ჩვენ ხომ საქმის გაკეთება გვინდა და არა ერთმანეთის მოტყუება. ერთსაც ვიტყვი: ახალგაზრდებთან უფრო გულმოდგინე მუშაობა გვმართებს, რეზერვზე უნდა ვიზრუნოთ, რეზერვის გარეშე ნაკრები გუნდი უძლურია.

**ნოდარ ახვლედიანი.**

# SOS

# ვიდრე უფროსები კინკლაობენ...

ეს ამბავი გუშინ დილით მოხდა: თბილისის სპორტკომიტეტის სპორტნაგებობათა სამმართველოს საწყლოსნო კომპლექსის (სანაპიროზე) დირექციამ დილაადრიან ხამეცადინოდ მოსული ბავშვები აუზზე არ შეუშვა. როცა მშობლები დაინტერესდნენ, მათ განუცხადეს: სპორტსაზოგადოება „განთიადის" ცურვის სპორტულ სკოლას, სადაც თქვენი ბავშვები მეცადინეობენ, აუზით სარგებლობისთვის თანხა არა აქვს გადახდილიო. მშობლები მწვრთნელებს მიუბრუნდნენ, მათ კი ბავშვების უსიტყვო მზერას ვერაფრით უპასუხეს. პირველი ზარი რედაქციაში დილით, ათის ოცდახუთ წუთზე გაისმა. აღშფოთებული მშობელი საქმეში ჩარევას გვთხოვდა. იგივე საკითხი უკვე თერთმეტის ნახევარზე სპორტსახკომში გამართულ ტრადიციულ ორშაბათის თათბირზეც დასვა ცურვაში სპორტსახკომის მთავარმა მწვრთნელმა ი. ბარსკიმ.

რედაქცია უმალვე დაუკავშირდა რამდენიმე პასუხისმგებელ მუშაკს.

**ვ. გოიაშვილი — საწყლოსნო კომპლექსის დირექტორი:** ჩვენმა ყველა მოიჯარემ იცის, რომ ყოველი თვის 20 რიცხვი ანგარიშსწორების ბოლო დღეა. განცხადებაც გვაქვს გამოკრული თვალსაჩინო ადგილზე. „განთიადის" ცურვის სპორტულ სკოლას გადასახდელი აქვს მარტის თანხა. 20 მარტს სკოლამ წარმოგვიდგინა საგარანტიო წერილი, რომ თანხას 15 აპრილამდე გადაიხდიდნენ. ჩვენ არ გვქონდა წესის დარღვევის უფლება და ამ თხოვნაზე თანხმობა არ მივეცით. ორშაბათიდან მომეცადინეებს აუზზე რომ არ დავუშვებდით, ეს სკოლის ხელმძღვანელობამ იცოდა და ბავშვებიც უნდა გაეფრთხილებინა.

**მ. ამილახვარი — სპორტსკოლის დირექტორი:** პროფკავშირული სპორტსაზოგადოებების გაერთიანებასთან დაკავშირებით ფინანსური ოპერაციები დროებით შეჩერებულია, აუზის ხელმძღვანელობა კი კატეგორიული წინააღმდეგია მოსწავლეების სავარჯიშოდ დაშვებისა. ისინი თავის მხრივ ალბათ მართალნი არიან, მაგრამ ჩვენ რა ვქნათ?

**ზ. კუტალაძე — სპორტსაზოგადოება „განთიადის" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე:** ჩვენ მზადა ვართ გადავუხადოთ აუზს საფასური, მაგრამ 15 აპრილამდე დახმარება გვჭირდება. აუზის ხელმძღვანელობას უნდა გაეთვალისწინებინა საგარანტიო წერილი და ჩვენი თხოვნა.

აი, სად იჩინა თავი უწყებრიობამ. ხედავთ? ზოგადად ყველა აგებს პასუხს, კონკრეტულად კი... არავინ. გავხსნათ ფრჩხილები: სპორტული სკოლისა და „განთიადის" ხელმძღვანელობამ, რომელსაც ეს სკოლა ეკუთვნის, სპორტსახკომის შესაბამისმა განყოფილებამ, თვით საწყლოსნო კომპლექსის დირექციამ, რატომ მიიყვანეს საქმე აქამდე? რა დააშავა ორასმა ბავშვმა? უფროსების წინდაუხედაობა და უწყებრივი უთანხმოება ნორჩებს, ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს რატომ უნდა ვაზღვევინოთ? ასეთი ფაქტები, სამწუხაროდ, იშვიათი არ არის. ამის შემდეგ რატომ გვიკვირს, რომ დიდი სპორტის საფუძველთა საფუძველი — ბავშვთა სპორტი სრულფასოვან რეზერვს ვერ იძლევა? აქვე დავძენთ: იმავე ცურვაში მეცადინეობის ერთი დღის გაცდენის ანაზღაურებას, როგორც სპეციალისტები ამბობენ, ერთი კვირა სჭირდება. ჯერჯერობით კი კაცმა არ იცის, რამდენი დღე გაუცდება 200 ბავშვს.

იქნებ ჯობდა, მეტი მზრუნველობა გამოგვეჩინა მოზარდების მიმართ? სხვა რომ არაფერი, ეს თითოეული ჩვენგანის მოქალაქეობრივი და საზოგადოებრივი მოვალეობაა.

რედაქცია დაუყოვნებლივ ელის პასუხს.

# ვუბრუნდებით დაბეჭდილს

ჩვენი გაზეთის 14 მარტის ნომერში გამოქვეყნდა ფოტობრალდება. სურათებზე აღბეჭდილი იყო თბილისის ზღვის ერთ-ერთ ყურეში უწესრიგოდ მიყრილი ძვირადღირებული ნავები, რომლებიც უპატრონობით ნადგურდება. მკითხველისა და დაინტერესებული ორგანიზაციებისთვის უფრო ცხადი რომ ყოფილიყო თუ თბილისის ზღვის ტერიტორიის კერძოდ რომელ ნაწილზე გვქონდა ლაპარაკი, საორიენტაციოდ მივანიშნეთ მთავარი პუნქტი — თბილისის სპორტკომიტეტის იახტ-კლუბი.

თბილისის სპორტკომიტეტის სპორტნაგებობათა სამმართველოდან პასუხი მივიღეთ. როგორც ჩანს, ეს ფოტობრალდება ამ ორგანიზაციამ თავისთავზე მიიღო (თუმცა გაზეთში ამის თაობაზე არაფერი თქმულა) და აგვიხსნა, რომ „ზედა ფოტოზე აღბეჭდილია საქართველოს პროფსაბჭოს სპორტნაგებობათა სამმართველოს სპორტული ბაზა (უკანა პლანზე), ხოლო სანაოსნო საშუალებები ეკუთვნის დოსააფის სპორტულ ბაზას. ქვედა ფოტოზე კი აღბეჭდილია საქართველოს პროფსაბჭოს სპორტნაგებობათა სამმართველოს ელინგი!"

ჩვენც ეს გვინდოდა გაგვერკვია და ახლა მადლობას მოვახსენებთ ზემოხსენებულ ორგანიზაციას, რომ უპატრონოდ მიყრილი ნავების მფლობელთა ზუსტი მისამართები შეგვატყობინა.

დამატებით კი იმასაც გვაცნობებენ, რომ იახტ-კლუბის ყურეში განლაგებული სხვადასხვა ორგანიზაციების საკრეისერო იალქნიანი ნავების მფლობელ ორგანიზაციებთან გაფორმებულია ხელშეკრულება და ეს ორგანიზაციები იხდიან იჯარას. ისინი კი, ვისაც ხელშეკრულება არა აქვს გაფორმებული, ოფიციალურად გაუფრთხილებიათ, რომ თბილისის სპორტკომიტეტის სპორტნაგებობათა სამმართველო პასუხს არ აგებს მათი ნავების მოვლა-შენახვისათვის.

გამოდის, რომ უპატრონოდ მიტოვებული ნავები ამ ბაზაზეც ყოფილა (იმ ფოტობრალდების მინაწერში კი ამაზე ნამდვილად გავამახვილეთ ყურადღება). ვის ეკუთვნის ის ნავები? ამის შესახებ სამწუხაროდ, არაფერს გვწერენ. არადა, რა დასამალია, ჩვენ სწორედ ამ კითხვაზე ველოდით პასუხს.

ახლაც ველით.

# შესანიშნავი შვიდეული

**ნორჩ მძლეოსანთა შვიდი გუნდი იბრძოდა კაუნასში „ლიტვის თასის" მოსაპოვებლად.**

ეს არ იყო ოფიციალური შეჯიბრება, მაგრამ მისი მნიშვნელობა მაინც დიდია. კაუნასის დარბაზში სწორედ იმ ასაკის მძლეოსნები გამოდიოდნენ, რომლებიც წლეულს სპორტსკოლების საკავშირო თამაშებში მიიღებენ მონაწილეობას. მწვრთნელებს საშუალება ჰქონდათ მეტოქეებთან ბრძოლაში შეემოწმებინათ თავიანთი გუნდების მზადყოფნა. ამ ასპარეზობაზე ნაჩვენები შედეგების მიხედვით რაიმე სერიოზული დასკვნების გაკეთება არ შეიძლება, მაგრამ მაინც სასიხარულოა, რომ საქართველოს მძლეოსნებმა III საპრიზო ადგილი დაიკავეს ბელორუსიისა და ლიტვის (I გუნდი) ძლიერი ნაკრებების შემდეგ.

პირად პირველობაში ჩვენი გუნდის სამმა წევრმა გაიმარჯვა. სოხუმელმა ლეონიდ ფიტუზოვმა (მწვრთნელი ბ. კიუტი) მოიგო 300 მეტრზე რბენა — 38,0. ტატიანა კოზზევამ 1000 მეტრზე 2.52,2 აჩვენა, ილონა ლაცაბიძემ კი 2000 მეტრი 6.36,6 დაფარა (ორივე მორბენალი ახალციხელია. მათ ს. არზუმანიანი ავარჯიშებს).

მეორე ადგილზე გავიდა თბილისელი დიანა ხუბაშვილი (მწვრთნელი მ. მელაძე), რომელმაც ძალიან კარგი შედეგი აჩვენა 60 მეტრზე რბენაში — 7,4. რუსთაველმა ოლეგ ზაიკამ (1500 მ. — 4.35,3) და ბათუმელმა ოლეგ ბობილიოვმა (60 მ თარჯრბენი — 8,5) მესამე ადგილები დაიკავეს.

სსრ კავშირის ჩემპიონატი 50

21 და 22 მარტს გაიმართა სსრ კავშირის 50-ე საფეხბურთო ჩემპიონატის III ტურის მატჩები

**„მეტალისტი“ (ხარკოვი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 0:0.**

**ხარკოვი. „მეტალისტის“ სტადიონი. 21 მარტი.**

**„მეტალისტი“: ხივუხა, მახინია, კუზნეცოვი, ხუსლო, პანჩიშინი, ბარანოვი (დერკაჩი, 28), ბურიაკი, ტალკო (ესიპოვი, 51), იაკუბოვსკი, ტარასოვი, აჯოევი.**

**„გურია“: იმნაძე, მიქაბერიძე, მახარაძე, ე. თევზაძე, მ. თევზაძე, ხლუსი, კოპალეიშვილი, ტყებუჩავა, ჩხაიძე, ფრიდონაშვილი, მეგრელაძე.**

**მსაჯი გ. გალიკოვი (ლენინგრადი).**

**დუბლიორები — 5:2. ლანჩხუთელთაგან ბურთები გაიტანეს დოლიძემ და ჯიშკარიანმა.**

ამ მატჩის შესახებ „ლელოს“ სპეციალურმა კორესპონდენტმა **ავთანდილ ორმოცაძემ** ხარკოვიდან ასეთი ინფორმაცია მოგვაწოდა:

ორივე გუნდი მინდორზე ზუსტად იმ შემადგენლობით გამოვიდა, როგორც წინა ტურში. მასპინძლებმა შემდგომში ორივე შეცვლა გამოიყენეს, სტუმრებმა კი მთელი მატჩი შეუცვლელად ჩაატარეს. ძლიერი სიცივის გამო, მოყინულ მინდორზე თამაში საგრძნობლად ჭირდა, მეტოქეები თავიდანვე დაძაბულ, უკომპრომისო ბრძოლაში ჩაებნენ, ხშირი იყო დარღვევებიც, ძალისმიერი თამაშიც.

„გურიამ“ დასაწყისშივე საფუძვლიანად გაამაგრა დაცვის ხაზები და „მეტალისტს“ არ მისცა კარის აღების საშუალება. ბრძოლა უმთავრესად მინდვრის შუაგულში მიმდინარეობდა.

შესვენების შემდეგ მდგომარეობა საგრძნობლად დაიძაბა, ლანჩხუთელი ფეხბურთელები კვლავ წარმატებით იცავდნენ თავს, ამავე დროს ყოველ მცირე შესაძლებლობასაც კი იყენებდნენ კონტრშეტევაზე გადასასვლელად. თამაში კვლავ მინდვრის ცენტრალურ ზონაში მიმდინარეობდა, „მეტალისტი“ ცდილობდა კარის დალაშქვრის ხელსაყრელი შესაძლებლობა შეექმნა ტარასოვისა და აჯოევისათვის, მაგრამ მათ პერსონალურად მეურვეობდნენ, არ აძლევდნენ საგოლე პოზიციაში გასვლის საშუალებას. მაინც, სწორედ ამ ორმა თავდამსხმელმა შეძლო სახიფათო მომენტის შექმნა მეტოქის კართან, ორივე შემთხვევაში კარგად ითამაშა მეკარე იმნაძემ. ბურთის გატანის შესაძლებლობა მიეცათ მეგრელაძეს და კოპალეიშვილსაც, მაგრამ მეკარე სივუხა მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა.

მსაჯის საფინალო სასტვენისთვის ელექტროტაბლოზე უწინდებურად ეწერა 0:0. ლანჩხუთის „გურიამ“ სტუმრად შეძლო ქულის აღება.

**„ტორპედო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (თბილისი) 1:0 (0:0)**

**მოსკოვი. „ტორპედოს“ სტადიონი. 22 მარტი.**

**„ტორპედო“: ხარინი, პოლუკაროვი, პრიგოდა, მუშტრუევი, პლოტნიკოვი (ნ. სავიჩევი, 66), შავეიკო, გრიშინი (შავლო, 55), ი. სავიჩევი, კობზევი, შირინბეკოვი, აგაშკოვი.**

**„დინამო“: გაბელია, კეტაშვილი, ჩივაძე, ჰედია, მალანია, რევიშვილი, ჟორდანია (ჩელებაძე, 72), სულაქველიძე, გოგრიჭიანი, ცაავა (კორდზაძე?) (კორელიძე, 60), შენგელია.**

**მსაჯი ი. მილიაუსკასი (ალიტუსი).**

**გააფრთხილეს ჰედია და კეტაშვილი.**

**დუბლიორები — 0:0.**

მატჩის დღეს მოსკოვში დილიდან გაავდრდა, ტემპერატურა მკვეთრად დაეცა, თუმცა „ტორპედოს“ სტადიონის სათამაშო მინდორი, სადაც მიწისქვეშა გათბობაა მოწყობილი, კარგ მდგომარეობაში იყო. ტორპედოელებს შეტევის წინა ხაზზე, უშუალოდ მეტოქის კართან, ორი ფორვარდი ჰყავდათ — კობზევი და ი. სავიჩევი, რომელთა ნეიტრალიზებას დინამოელთა მცველები წარმატებით ახორციელებდნენ. თბილისელთაგან კი წინა ხაზზე მხოლოდ შენგელია მოქმედებდა, რომელსაც მასპინძელთა მცველები ასევე პერსონალურად „მეურვეობდნენ“. ასეთ პირობებში შეტევაში უფრო აქტიური ფუნქციები ეკისრებოდათ ნახევარმცველებს. თამაში საინტერესო, დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა, თუმცა პირველ ნახევარში მწვავე მომენტები ნაკლებად იყო, გამონაკლისი გახლდათ მუშტრუევის გარღვევა, მაგრამ მისი დარტყმა ძელს მოხვდა.

მეორე ტაიმში თბილისელებმა გააძლიერეს თამაში, გააქტიურდნენ რევიშვილი, შენგელია, სულაქველიძე. ტორპედოელთა კარის უშუალო სიახლოვეს სახიფათო პოზიციაში გავიდნენ კეტაშვილი, ჰედია. 72-ე წუთზე ჟორდანიას ნაცვლად მინდორზე ჩელებაძე გამოვიდა, რასაც კიდევ უნდა გაეძლიერებინა დაწოლა, მაგრამ მოხდა პირიქით: ტორპედოელებმა 73-ე წუთზე კუთხური მოაწოდეს, კობზევმა ბურთი ი. სავიჩევს გადასცა და მან მეკარე გაბელიას თავს ზემოთ გადაუგდო იგი — 1:0.

მატჩის დასასრულს დინამოელები უტევდნენ, ანგარიშის გათანაბრების კარგი შესაძლებლობაც ჰქონდათ, კერძოდ, შენგელიას, მაგრამ ეს მომენტი ვერ გამოიყენა. მოსკოველებმა შეინარჩუნეს მეტად საჭირო გამარჯვება.

განვლილ შაბათს მოსკოვის „სპარტაკისა“ და ბაქოს „ნეფთჩის“ შეხვედრა „ოლიმპიურის“ დახურულ სტადიონზე სპარტაკელთა გამარჯვებით დამთავრდა — 4:1.

22 მარტს კიევის დინამოელებმა თავიანთ მინდორზე ერევნის „არარატი“ მიიღეს და დიდი ანგარიშით დაამარცხეს მეტოქე — 7:0.

**საქართველოს გუნდები შემდგომში, IV ტურის მატჩებს კვლავ სტუმრად გამართავენ. ლანჩხუთის „გურია“ 28 მარტს შეხვდება მოსკოვის „ტორპედოს“, ხოლო თბილისის „დინამო“ 29 მარტს ხარკოვის „მეტალისტს“ ეთამაშება.**

# გათამაშების ცხრილი

**ძირითადი შემადგენლობანი ● მდგომარეობა 24 მარტისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 3 | 3 | 0 | 0 | 9-2 | 6 | (—0) |
| 2. ცსკა | 3 | 2 | 1 | 0 | 5-2 | 5 | (—1) |
| 3. „დინამო“ (მოსკოვი) | 3 | 2 | 1 | 0 | 3-1 | 5 | (—1) |
| 4. „არარატი“ (ერევანი) | 3 | 2 | 0 | 1 | 2-7 | 4 | (—2) |
| 5. „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) | 3 | 1 | 2 | 0 | 6-1 | 4 | (—2) |
| 6. „შახტიორი“ (დონეცკი) | 3 | 1 | 2 | 0 | 2-1 | 4 | (—2) |
| 7. „მეტალისტი“ (ხარკოვი) | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 3 | (—3) |
| 8. „ტორპედო“ (მოსკოვი) | 3 | 1 | 1 | 1 | 1-1 | 3 | (—3) |
| 9. „დინამო“ (კიევი) | 1 | 1 | 0 | 0 | 7-0 | 2 | (—0) |
| 10. „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) | 3 | 0 | 2 | 1 | 2-3 | 2 | (—4) |
| 11. „დინამო“ (მინსკი) | 3 | 0 | 2 | 1 | 1-2 | 2 | (—4) |
| 12. „გურია“ (ლანჩხუთი) | 2 | 0 | 1 | 1 | 0-2 | 1 | (—3) |
| 13. „ქაირატი“ (ალმა-ათა) | 3 | 0 | 1 | 2 | 0-3 | 1 | (—5) |
| 14. „ნეფთჩი“ (ბაქო) | 3 | 0 | 1 | 2 | 2-6 | 1 | (—5) |
| 15. „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 3 | 0 | 1 | 2 | 2-3 | 1 | (—5) |
| 16. „დინამო“ (თბილისი) | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 | (—4) |

## საქართველოს პირველობა

განვლილ შაბათ-კვირას გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის IV ტურის მატჩები პირველი ჯგუფის გუნდებს შორის.

„იმერეთი“ (ქუთაისი) — „კოლხეთი“ (ხობი) 1:2, „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 2:0, „სპარტაკი“ (ცხინვალი) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 2:1, „სქური“ (წალენჯიხა) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 4:0, „მადნეული“ (ბოლნისი) — „არმაზი“ (მცხეთა) 3:0, „შადრევანი“ (წყალტუბო) — „სულორი“ (ვანი) 1:0, „მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „ივერია“ (ხაშური) 2:1, „ქართლი“ (გორის რ-ნი) — „დინამო“ (გაგრა) 0:0, „საპოვნელა“ (თერჯოლა)—„მერცხალი“ (მახარაძე) 0:0, „სალხინო“ (გეგეჭკორი) — „კახეთი“ (თელავი) 1:1, „დურუჯი“ (ყვარელი) — „დინამო“ (ზუგდიდი) 0:0.

# მომავლის ავანსით

დასასრული

ველესი ამოცანა წარმატებით გადაჭრა და თავისი გულშემატკივრები დააიმედა.



„სპარტაკი“ თბილისში კონკრეტული გეგმებით ჩამოვიდა, მაგრამ როგორც მატჩის მსვლელობამ ცხადყო, ამ გეგმებს განხორციელება, ამჯერად, არ ეწერა. ამაში პირველსავე ტაიმში დავრწმუნდით. არავისთვის არ გახლავთ საიდუმლო, რომ ნევისპირელთა მთავარი ძალა დღესდღეობით არის ტანმაღალი, ფიზიკურად ძლიერი და საკმაოდ მოძრავი ცენტრალური თავდამსხმელი გრიშაევი. თუ გრიშაევი კარგად ითამაშებს, გუნდი უსათუოდ აღწევს წარმატებას, არა და...

„დინამომ“ პირველ ტაიმში სწორედ მისი უვნებელყოფა დაისახა მიზნად. ეს ცხადია გარკვეულ რისკთან იყო დაკავშირებული, მაგრამ რისკი ასეთ დროს გამართლებულია. პირველი და უმთავრესი ამოცანა ფარქვეშ კარგი თამაში, ფარის მოგება გახლდათ, ნებისმიერი მსხვერპლის ფასად, მაგრამ მაინც მოგება. სასურველ შედეგს თბილისელი კალათბურთელები ამ გზით თუ მიაღწევდნენ.

პირველ ოც წუთში გრიშაევი არ აქტიურობდა — მხოლოდ ორჯერ ჩააგდო ბურთი კალათში და სამი საჯარიმო სროლა შეასრულა. შვიდი ქულა ოც წუთში გრიშაევისთვის ერთობ უჩვეულო „ლუკმაა“. სამაგიეროდ ფართო სამოქმედო ასპარეზი კუზნეცოვმა და გორინმა მიიღეს, მაგრამ მათი ნეიტრალიზება არც ისე ძნელი საქმე იყო. მით უფრო, რომ კაპუსტინი და დარსაძე თავის მხრივ გაძლიერებულ ყურადღებას მოითხოვდნენ (სხვათა შორის, კაპუსტინმა პირველ ტაიმში თავის გუნდს 20 ქულა შესძინა). მეტოქეთა შანსებიც სწორედ აქ გათანაბრდა.

მეათე წუთზე ლენინგრადელთა მწვრთნელმა გრიშაევი დროებით გაიყვანა სარბიელიდან, მაგრამ საქმეს ვერც ამ „პროფილაქტიკურმა“ ნაბიჯმა უშველა. დინამოელთა უპირატესობა შესამჩნევი იყო. თბილისელმა კალათბურთელებმა განსაკუთრებით ეფექტურად ტაიმის მიწურული ჩაატარეს. 13-ქულიანი სხვაობა გამარჯვების საწინდარი იყო.

მატჩის მეორე ნახევარმა გრიშაევის სიძლიერეში კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა. იგი შეუჩერებლად მიიწევდა მეტოქის კალათისკენ და გზად, როგორც იტყვიან, ყველაფერს ანადგურებდა. ამ მომენტში სხვებზე მეტად გაუჭირდა ტიუბინს, რომელსაც უკვე 4 საჯარიმო ჰქონდა მიღებული.

მაგრამ ერთი მოთამაშის თავგანწირვა და მონდომება წარმატების სრულ გარანტიას არ იძლევა. დიახ, გრიშაევი ამ მომენტში მარტო იყო ერთ მუშტად შეკრული „დინამოს“ წინააღმდეგ და როგორც მოსალოდნელი იყო, ამ უკანასკნელმა გაიმარჯვა.

ერთი სიტყვით, პირველ სუპერფინალურ მატჩში თბილისის „დინამომ“ აჩვენა თავისი ძალა, უნარი, შესაძლებლობები. სწორედ ამიტომაც ვთვლით გუშინწინდელ გამარჯვებას მომავლის ერთგვარ ავანსად.

**ნოდარ გუგუშვილი.**

**მეტოქის ფარს უტევს გ. დარსაძე.**

**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.**

## პირველი სუპერფინალური

**კაუნასი.** პირველი სუპერფინალური მატჩი ადგილობრივ „ჟალგირისსა“ და მოსკოვის ცსკა-ს შორის არმიელმა კალათბურთელებმა მოიგეს — 92:81 (45:36).

ლიტველები თავიანთი ლიდერის არვიდას საბონისის გარეშე თამაშობდნენ. სწორედ ეს გახლდათ იმის მიზეზი, რომ „ჟალგირისმა“ პირწმინდად წააგო ფარი. მე-13 წუთისთვის ცსკა 17 ქულით დაწინაურდა და ამის შემდეგ ინიციატივა ხელიდან აღარ გაუშვია.

მასპინძელთა შორის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი კურტინაიტისი იყო (21ქულა), არმიელმა ვოლკოვმა კი თავის კოლექტივს 20 ქულა შესძინა.

დღეს მოსკოვში ამ გუნდების მეორე შეხვედრა გაიმართება.

## კიდევ ორი მატჩი

**გაიმართა** უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის ორი მატჩი იმ გუნდების მონაწილეობით, რომლებიც VII-XII ადგილებისთვის იბრძვიან.

ალმა-ათაში ადგილობრივმა არმიელებმა კიევის „სტროიტელს“ უმასპინძლეს. პირველი შეხვედრა „სტროიტელმა“ მოიგო 79:72, მეორე—ალმა-ათის ასკ-მ 87:82.

**გათამაშების ცხრილი**

| | თ. | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| ასკ (კიევი) | 36 | 17 | 19 | 53 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 36 | 16 | 20 | 52 |
| „სტატიბა“ (ვილნ.) | 36 | 16 | 20 | 52 |
| „სტროიტ.“ (კიევი) | 36 | 15 | 21 | 51 |
| რტი (მინსკი) | 36 | 13 | 23 | 49 |
| ასკ (ალმა-ათა) | 36 | 13 | 23 | 49 |

ფეხბურთი

## „პორტუ“, „ბაიერნი“, „რეალი“...

ფეხბურთის მოყვარულები დიდი ინტერესით მოველოდით ევროპის საკლუბო ტურნირების ნახევარფინალების წილისყრას. სამივე ტურნირში ახლა მხოლოდ კიევის „დინამომ“ გაართვა თავი წინასწარი ეტაპების სიძნელეებს და ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში გავიდა. რა თქმა უნდა, ეს თავისთავად დიდი მიღწევაა, მაგრამ კიეველებს წინ კიდევ უფრო მძიმე ბრძოლები მოელით. ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში შემორჩენილი გუნდები საერთაშორისო ფეხბურთში აღიარებული, მეტად ავტორიტეტული გრანდებია: მიუნხენის „ბაიერნი“ (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა), მადრიდის „რეალი“ (ესპანეთი) და პორტუგალიის ქალაქ პორტუს „პორტუ“, თუმცა, „პორტუს“ შედეგები მნიშვნელოვნად ჩამორჩება ზემოჩამოთვლილი ფავორიტების დიდ მიღწევებს.

მიუნხენის „ბაიერნი“ ზედიზედ სამი წლის განმავლობაში (1974, 1975, 1976 წლები) ფლობდა ევროპის ჩემპიონთა თასს, 1967 წელს კი თასების მფლობელთა თასს დაეპატრონა. კიევის დინამოელები უმაღლეს დონეზე არაერთხელ შეხვედრიან „ბაიერნს“. ისინი 1975 წელს ერთმანეთს შეხვდნენ ევროპის სუპერთასზე, კიეველებმა ზედიზედ ორჯერ დაამარცხეს ძლიერი მეტოქე — 1:0, 2:0. მომდევნო წელს კიევის დინამოელები ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალში შეხვდნენ „ბაიერნს“ და ორი მატჩის ჯამში კვლავ მიაღწიეს გამარჯვებას (0:1 და 2:0). ევროპის საკლუბო გათამაშებებში „ბაიერნი“ სხვა საბჭოთა გუნდებსაც შეხვედრია, კერძოდ, ერევნის „არარატს“ და მოსკოვის „ტორპედოს“ და, თუმცა, ძნელ ბრძოლაში, მაინც მიაღწია წარმატებას.

ევროპის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი გუნდია მადრიდის „რეალი“, გუნდი, რომელიც ექვსჯერ ფლობდა ჩემპიონთა თასს, ბოლო ორი წელია კი ზედიზედ იმარჯვებს უეფა-ს თასზე. „რეალს“ საბჭოთა კლუბებთანაც აქვს ოფიციალური მატჩები ჩატარებული, კერძოდ, ეს გუნდი 1981 წლის 4 მარტს თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე შეხვდა მოსკოვის „სპარტაკს“ ჩემპიონთა თასზე, ფრედ დაამთავრა მატჩი — 0:0, საპასუხო შეხვედრა კი შინ, მადრიდში, მოიგო — 2:0.

„პორტუს“ ყველაზე დიდი წარმატება საკლუბო ტურნირებში გახლავთ თასების მფლობელთა თასის ფინალში მონაწილეობა 1984 წელს. მაშინ პორტუგალიელმა ფეხბურთელებმა მხოლოდ უკიდურესად დაძაბული ბრძოლის შემდეგ დაუთმეს გამარჯვება (2:1) იტალიის ცნობილ „იუვენტუსს“.

ევროპის საკლუბო ტურნირების ნახევარფინალური მატჩები, როგორც იცით, გაიმართება 8 და 22 აპრილს. კიეველთა პირველი მეტოქეა „პორტუ“.



## მესამე უცხოელი?

იტალიური პრესა ბევრს წერდა იმის შესახებ, რომ 1987-88 წლების სეზონიდან კლუბებს ნებას დართავდნენ მინდორზე ამჟამად ნებადართული ორის ნაცვლად სამი უცხოელი ფეხბურთელი გამოეყვანათ.

ამ დღეებში იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ იმსჯელა ამის შესახებ და დაადგინა. კლუბებს უფლება აქვთ მოიწვიონ ახალი უცხოელი ფეხბურთელები, მაგრამ მინდორზე მხოლოდ ორი გამოიყვანონ. ერთი სიტყვით, ე. წ. მესამე უცხოელის ვარიანტი მომავალი სეზონისთვის უკუგდებულია.

## შუსტერი — სათადარიგო შემადგენლობაში!

როგორც ესპანური პრესა იუწყება, გამოჩენილი დასავლეთგერმანელი ნახევარმცველი ბერნდ შუსტერი სისტემატურად თამაშობს „ბარსელონის“ !..სათადარიგო შემადგენლობაში! ეს მაშინ, როცა მას მრავალი კლუბი ეპატიჟება, პირველ რიგში მადრიდის „რეალი“.

## საბჭოთა კავშირის 24-ე ჩემპიონატი რეგბიში

# მატჩი — გამოცდა

თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 22 მარტი.

„ლოკომოტივი" (თბილისი) — „ფილი" (მოსკოვი) 13:6 (7:3).

„ლოკომოტივი": ლუდუშაური (მეტრეველი, 58); ა. ხვედელიძე, კლდიაშვილი, შერაზადიშვილი, ნარიმანიძე; ლევან ჩიქვინიძე, ჭეიშვილი; ტყაბლაძე, კაკაბაძე (ჯინჭარაძე, 83), ბაკურაძე, მექვაბიშვილი, ხუადე, ბასილაშვილი, გიუნაშვილი, მგელაძე.

„ფილი": კოროლიხინი; ეერებცოვი (ჩვანოვი, 31), კირიუხინი, ხალავატოვი, დმიტრიევი; ვ. ოვჩინნიკოვი, ბორისოვი; იუსიმი, სომოვი, კირპა, მიშაკოვი, მაკაროვი, ხაირულინი, ემელიანოვი, მუხუტდინოვი.

მსაჯი ვიაჩესლავ კალიტენკო (კიევი).

გოლები: „ლოკომოტივი": 2 დამიწება (34, ჭეიშვილი; 76, ხუადე), 1 საჯარიმო (8, ხვედელიძე), 1 რეალიზაცია (77, შერაზადიშვილი); „ფილი": 2 საჯარიმო (12, 51, ოვჩინნიკოვი).

გააძევეს სომოვი (82) და მგელაძე (84).

ალბათ ზედმეტია სეზონის პირველი მატჩის მოგების მნიშვნელობაზე ლაპარაკი. მით უფრო, თუ გუნდს წინა ოთხი ჩემპიონატის სტარტზე ერთთავად მასზე ძლიერ მეტოქეებთან უწევდა თამაში და თანაც მარცხდებოდა.

ჩემპიონატის კალენდარმა არც ამჯერად „დაინდო" ლოკომოტიველები და ქვეყნის მესამე გუნდი „ფილი" შეახვედრა პირველ მეტოქედ. მაგრამ რკინიგზელთა განახლებული გუნდი ვაჟკაცურად შეხვდა ამგვარ გამოცდას და დამსახურებული გამარჯვებაც მოიპოვა.

მატჩი მეტად უშელავათო გამოდგა, რამაც ერთგვარად ავნო მის სანახაობრივ მხარეს. გუნდები სიფრთხილეს იჩენდნენ და ერთთავად მორკინალებით შეტევასა და ბურთის აუტში მოგერიებას ეშურებოდნენ. ამაში „ლოკომოტივი" ტოლს არ უდებდა მეტოქეს, მაგრამ, რაკილა აუტიდან მოწოდებულ ბურთს მეტწილად სტუმრები ეუფლებოდნენ, უპირატესობაც მათ ეპყრათ. „ფილი", განსაკუთრებით მეორე ტაიმში, გამუდმებით უტევდა: მისი ნახევარმცველები ოსტატურად აკავშირებდნენ მორკინალებსა და სამმეოთხედელებს; სტუმრების თამაშში აშკარად ჩანდა მათი მაღალი კლასი შეტევის მხარდამჭერისა და ზედახორიდან ბურთის დროულად გამოტანის დროს.

მიუხედავად ამისა, „ფილი" მაინც დამარცხდა საკუთარი სტილის მაძიებელ, თავგამოდებით მებრძოლ გუნდთან. „ლოკომოტივმა", განსაკუთრებით მისმა სამმეოთხედელთა ხაზმა, შესანიშნავად ითამაშა დაცვაში, რის გამოც სტუმრების უპირატესობამ შეხვედრის ბოლოსათვის მოჩვენებითი ელფერი მიიღო და ვერც ანგარიშში აისახა. მეტიც, როცა მეორე ტაიმის შუა მონაკვეთში თბილისელთა გამარჯვება თითქოს სათუო გახდა, სწორედ მაშინ გამოავლინეს ჩვენებმა ხასიათის საოცარი სიმტკიცე, სიდინჯე, შესაშური ამტანობა და იმპროვიზაციის უნარი: მოედნის საკუთარ ნახევარზე მოგებული შერკინებიდან გიუნაშვილმა მოკლე ფრთისაკენ წამოიწყო შეტევა, რომელიც მეტრეველის გადაცემის შემდეგ ხუადემ ლელოს გატანით დაასრულა. პირველი ტაიმის ბოლოს კი, როცა ანგარიში თანაბარი იყო, მარჯვენა ფრთაზე შეტევის შეფერხების შედეგად შექმნილი მოლიდან ბურთის გამოტანის შემდეგ ჭეიშვილმა ყველასათვის მოულოდნელად თავად შეუტია და სეზონის პირველი ლელოც გაიტანა.

სწორედ სამაგალითო მონდომებისა და საზრიანობის შერწყმით შეძლო „ლოკომოტივმა" მოგება მატჩისა, რომელშიც ნაკლებად იყო თამაში, ბრძოლა კი ჭარბად, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, რადგან ორთაბრძოლის ბოლო წუთები „ფილის" ზოგიერთი ნირწამხდარი, მაგრამ ჩხუბის გუნებაზე მდგარი მოთამაშის წყალობით, თბილისელ რეგბისტთა თავდაჭერილობის გამოცდად იქცა.

**ზაალ გიგინეიშვილი.**

# სითამამე არ ეყოთ

თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 22 მარტი.

„შევარდენი" (თბილისი) — „სლავა" (მოსკოვი) 3:7 (3:4).

„შევარდენი": გვიანიშვილი; კალანდაძე, მუზაშვილი, საცერაძე, კურატიშვილი; გარუჩავა, ჯანელიძე; სოკუროვი (ბიძინაშვილი), კაპანაძე, მგელაძე, გეგიძე, მაჭავარიანი, კახეთელიძე, ელიზბარაშვილი (მაზანაშვილი), ბერიაშვილი.

„სლავა": ბელიაევი; შიშკოვი, ერმაკოვი, პარშინი (ნეჩაევი), ბალონკინი; ფოკინი, კოპილოვი; სოკოლოვი, ვალიალშჩიკოვი, ლისოვი (ფედორკოვი), კონფეტოვი, სტრელნიკოვი, მედვედი, მედეკშა, სამარდინი.

მსაჯი ა. გრუმბინასი (ვილნიუსი).

გოლები: „შევარდენი": 1 საჯარიმო (31, გარუჩავა); „სლავა": დამიწება (25, ერმაკოვი) და საჯარიმო (78, ბალონკინი).

**გუნდების** კაპიტნებმა ვახტანგ კაპანაძემ და მიხეილ პარშინმა თამაშის დაწყების წინ „ლოკომოტივის" სტადიონზე საზეიმოდ აღმართეს 24-ე ჩემპიონატის დაწყების მაუწყებელი ალამი.

თბილისის „შევარდენი" შეხვდა იმ გუნდს, რომელიც სამხედრო საჰაერო აკადემიის რეგბისტებს მედგარ წინააღმდეგობას უწევს ოქროს მედლებისათვის ბრძოლაში.

პირველი ტაიმის დასაწყისში მასპინძლებმა ფეხით თამაშით ერთგვარ ტერიტორიულ უპირატესობას მიაღწიეს. ჩვენი რეგბისტები მეტოქის სწრაფ ფორვარდებს არ აძლევდნენ დრიბლინგის შესრულების საშუალებას, მაგრამ თვითონაც ზედმეტ სიფრთხილეს იჩენდნენ. გასაგებია: ახალბედებს „სლავას" ავტორიტეტი ბორკავდა. მართალია, თბილისელები იშვიათად ცდებოდნენ, მაგრამ აი, 25-ე წუთზე „შევარდენის" მოთამაშეებმა მარჯვენა ფრთაზე გაჭრილი სტრელნიკოვისა და ფოკინის მიერ წამოწყებული გარღვევის მოგერიება დაიწყეს, საპირისპირო ფრთა კი დაუცველი დატოვეს. მოსკოველებმა ისარგებლეს მეტოქეთა შეცდომით და შეტევა „ქალაქის" აღებით დაასრულეს. პირველ ტაიმში გარუჩავამ საჯარიმო დარტყმით ერთ ქულამდე შეამცირა ანგარიშში სხვაობა—3:4. 22-მეტრიანი საჯარიმოს ზონიდან ხელსაყრელი ჯარიმა ვერ გამოიყენა კურატიშვილმა. ეს ანგარიში (3:4) დიდხანს იყო ტაბლოზე.

მეორე ტაიმის მეცხრე წუთზე „შევარდენი" ახლოს იყო მიზანთან: მეტოქის ჩათვლის მოედნიდან ორი მეტრის მანძილზე დაინიშნა აუტი. აქ, უკვე „სლავა" გადავიდა ყრუ დაცვაზე, ერთი-ორჯერ „შევარდენმა" თავისი „ქალაქის" სიახლოვეს, სამიოდე მეტრში დანიშნული შერკინება ისე მშვიდად განმუხტა, რომ იფიქრებდით, უმაღლესი ლიგის დებიუტანტი კი არა, გამობრძმედილი გუნდი თამაშობსო.

თამაშის მიწურულს არბიტრმა თბილისელები უხეში თამაშისთვის დააჯარიმა. ბალონკინმა ზუსტად დაარტყა და ანგარიში გახდა 7:3 „სლავას" სასარგებლოდ. ამ ანგარიშით დამარცხდა „შევარდენი" თავის პირველ ტიტულიან მეტოქესთან, მაგრამ ახალგაზრდულმა გუნდმა, ბურთით თუ უბურთოდ თამაშში, ტოლი არ დაუდო მოსკოველთა კოლექტივს, რომლის 4 წევრი ქვეყნის პირველი ნაკრების ღირსებას იცავს. „შევარდენს" მეორე ტაიმში უფრო ხშირად უნდა ეთამაშა ხელით, ხშირად უნდა შეესრულებინა ინდივიდუალური გარღვევები. სამწუხაროდ, ახალბედებს სითამამე აკლდათ.

თბილისელთაგან თითქმის უშეცდომოდ ითამაშა მცველმა გვიანიშვილმა. თბილისის 102-ე საშუალო სკოლის მეათე კლასის მოსწავლე, 16 წლის შავლეგ ჯანელიძე შერკინების ნახევარმცველად გამოიყვანა რამაზ სანებლიძემ. ეს მის პედაგოგიურ ალღოზე მეტყველებს. შავლეგმა, რომელიც ექიმის ნებართვითაა დაშვებული მაღალი რანგის ასპარეზობაზე, ჩინებულად ითამაშა.

**გაბრიელ ბარჯაძე.**

24-ე ჩემპიონატის პირველ კალენდარულ მატჩში ქუთაისის „მშენებელმა" უმასპინძლა ქვეყნის ჩემპიონს, სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდს. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 14:9.

## სსრ კავშირის ჩემპიონატი წყალბურთში

„ლელოს" სპეციალური კორესპონდენტი ავთანდილ გურასაშვილი ლვოვიდან ტელეფონით გვატყობინებს:

# მხოლოდ ერთი ქულა

**ლვოველ** თანაკლუბელებთან მინიმალური ანგარიშით დამარცხების შემდეგ თბილისელებმა, როგორც ვიუწყებოდით, მოსკოვის „მოსკვიჩთან" ფრედ — 7:7 (2:2, 1:2, 1:0, 3:3) დაამთავრეს შეხვედრა. ამ მატჩის მოგებას აპირებდნენ, მაგრამ წინა დღით დამარცხებამ მათზე აშკარად უარყოფითად იმოქმედა. შეხვედრის დასაწყისში თბილისელებმა ზედიზედ ორი ბურთი გაიტანეს, მაგრამ მოსკოველებმა ანგარიში გაათანაბრეს და ამის შემდეგ თანაბარი ბრძოლა მიმდინარეობდა. მატჩის მიწურულს ჩვენი წყალბურთელები შეხვედრას ერთი ბურთით იგებდნენ, მაგრამ მოსკოველებმა, რომლებსაც ზედმეტი მოთამაშე აღმოაჩნდათ, შეძლეს ანგარიშის გათანაბრება.

თბილისელები პირველი წრის ბოლო ტურში, სულ მცირე, 3 ქულის მოგროვებას ვარაუდობდნენ. მიზნისთვის რომ მიეღწიათ, ბოლო მატჩში ალმა-ათის „დინამო" უნდა დაემარცხებინათ, რაც ნებისმიერი გუნდისთვის მეტად ძნელი საქმეა. ჩვენმა წყალბურთელებმა თავდაუზოგავად იბრძოლეს, მაგრამ მაინც დიდი ანგარიშით 5:10 (1:3, 2:2, 2:1, 0:4) დამარცხდნენ. სხვათა შორის, ეს ანგარიში ბრძოლის დაძაბულობას სრულად ვერ ასახავს. ალმაათელები თავიდანვე დაწინაურდნენ და მეორე პერიოდში შეხვედრას სამი ბურთით იგებდნენ (5:2), მაგრამ თბილისელებმა ერთხანს დიდი აღმავლობით ითამაშეს და ანგარიში გაათანაბრეს — 5:5.

მესამე პერიოდში ალმაათელები რიცხობრივ უპირატესობას ხუთჯერ ფლობდნენ, მაგრამ ზედმეტი მოთამაშის გამოყენება მხოლოდ ერთხელ შეძლეს და მესამე პერიოდი ერთი ბურთით მოიგეს (6:5). ჩვენი წყალბურთელების დიდი ანგარიშით დამარცხებას არაფერი მოასწავებდა, მაგრამ მეოთხე პერიოდში, როცა მეტოქემ ზედიზედ ორჯერ გამოიყენა რიცხობრივი უპირატესობა და კუტივაძეს თამაშის ბოლომდე დაატოვებინეს სარბიელი, ქართველმა წყალბურთელებმა ფარ-ხმალი დაყარეს და ამის შემდეგ მეტოქისთვის წინააღმდეგობა თითქმის აღარ გაუწევიათ.

ლვოვში ბოლო დღის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: „მოსკვიჩი" — ცსკა ვმფ — 4:7, „დინამო" (ლვოვი) — „ბალტიკა" (ლენინგრადი) — 17:10.

ბაქო. გასულ შაბათს და კვირას გაიმართა წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები. „დინამო" (მოსკოვი) — „ლოკომოტივი" (ხარკოვი) 15:6, „დინამო" (კიევი) — კჩფ (სევასტოპოლი) 9:9, „უნივერსიტეტი" (მოსკოვი) — კკფ (ბაქო) 11:7, „დინამო" (მოსკოვი) — „უნივერსიტეტი" (მოსკოვი) 8:5, „დინამო" (კიევი) — „ლოკომოტივი" (ხარკოვი) 7:7, კკფ (ბაქო) — კჩფ (სევასტოპოლი) 10:8.

### გათამაშების ცხრილები

#### ბაქოს ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (მოსკოვი) | 11 | 10 | 1 | 0 | 119-77 | 21 |
| „უნივერსიტეტი" (მოსკოვი) | 11 | 8 | 0 | 3 | 102-76 | 16 |
| კკფ (ბაქო) | 11 | 5 | 0 | 6 | 101-108 | 10 |
| „დინამო" (კიევი) | 11 | 2 | 2 | 7 | 89-104 | 6 |
| „ლოკომოტივი" (ხარკოვი) | 11 | 2 | 2 | 7 | 70-94 | 6 |
| კჩფ (სევ.) | 11 | 2 | 1 | 8 | 72-91 | 5 |

#### ლვოვის ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (ალმა-ათა) | 11 | 8 | 1 | 2 | 104-82 | 17 |
| „დინამო" (ლვოვი) | 11 | 7 | 2 | 2 | 116-102 | 16 |
| ცსკა ვმფ | 11 | 6 | 1 | 4 | 94-82 | 13 |
| „დინამო" (თბილისი) | 11 | 6 | 1 | 4 | 86-86 | 13 |
| „მოსკვიჩი" | 11 | 4 | 1 | 6 | 78-84 | 9 |
| „ბალტიკა" (ლენინგ.) | 11 | 0 | 1 | 10 | 78-119 | 1 |

## საქართველოს პირველობა ჭადრაკში

# პოზიციებს არ თმობენ

ჭადრაკის სასახლეში გრძელდება ქალთა 43-ე რესპუბლიკური ჩემპიონატი. XII ტურის გადადებულ პარტიაში ნ. მელაშვილი თამაშის განუახლებლად დანებდა კახიანს, ნიკოლაძე — ლანჩავას (X ტური). საინტერესო პოზიციაში იყო გადადებული გაგნიაშვილი—ნ. მელაშვილის (XI ტური) პარტია. ნ. მელაშვილს მცირე უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ გაგნიაშვილი კარგად იცავდა თავს. მეტოქენი მხოლოდ მაშინ შეთანხმდნენ ყაიმზე, როცა დაფაზე მეფეები და თითო პაიკი დარჩა. ქასოშვილმა ზუსტად გამოიყენა უპირატესობა კობაიძესთან გადადებულ პოზიციაში (XI ტური) და გაიმარჯვა. დანარჩენი გადადებული პარტიები ასე დამთავრდა: გაგნიაშვილი-ლაგვილავა — 0,5:0,5 (I ტური), ლანჩავა-კახიანი — 0:1 (VI); ლაგვილავა-ხუგაშვილი—0:1 (VII), ნიკოლაძე-ალიხანაშვილი — 0,5:0,5 (XI), ხუგაშვილი-ლანჩავა — 1:0 (XI), ტერელაძე-სადუნიშვილი—0,5:0,5 (XI), ჩაიკოვსკაია-ნიკოლაძე—0,5:0,5 (XII), ალიხანაშვილი-ხუგაშვილი — 0:1 (XII), სადუნიშვილი-ლაგვილავა — 1:0 (XII), კობაიძე-გაგნიაშვილი — 1:0 (XII); კახიანი-კობაიძე — 0:1 (XIII), მახარაძე-სადუნიშვილი—0:1 (XIII), ლანჩავა-ალიხანაშვილი — 0:1 (XIII).

XIV ტურში ძალზე საინტერესო გამოდგა ნ. მელაშვილ-ლაგვილავას პარტია. ნინომ თამამად შეუტია მეტოქის მეფეს და ლაზიერით შეიჭრა მტრის ბანაკში, მაგრამ იჩქარა, პოზიციაში კარგად ვერ გაერკვა, არასწორად შესწირა ჯერ ერთი, შემდეგ მეორე მხედარი და დამარცხდა. კახიანი შავებით ეთამაშებოდა ხუციშვილს. პარტია გადაიდო, კახიანს ზედმეტი პაიკი და მოგების რეალური შანსი აქვს. დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: ქ. მელაშვილი-ხუგაშვილი — 1:0, სადუნიშვილი-ნიკოლაძე — 1:0, თანდაშვილი-მახარაძე — 1:0, კობაიძე-ტერელაძე — 0,5:0,5. გადაიდო ქასოშვილ-გაგნიაშვილისა და ჩაიკოვსკაია-ლანჩავას პარტიები.

14 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან: ქეთევან კახიანი — 10 (1), თამარ ხუგაშვილი — 10 (13 შეხვედრიდან), ლია სადუნიშვილი, ციური კობაიძე, ქეთევან მელაშვილი, ჰენრიეტა ლაგვილავა, ნინო მელაშვილი — 8,5-8,5 (13-13-დან), ციალა ქასოშვილი 8 (1; 13-დან)

**ვასილ ვაშაკიძე,**
**ოსტატობის კანდიდატი.**

# გამარჯვებულები—უმაღლეს ლიგაში

**სამტრედია** (ტელეფონით, „ლელოს" სპეციალური კორესპონდენტი). დამთავრდა საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა ჩემპიონატის I ლიგის ტურნირი, რომელსაც უმაღლესი ლიგის ოთხი საგზურის მფლობელი უნდა დაესახელებინა. ბოლო, XV ტურმა ნათელი მოჰფინა სატურნირო ცხრილს. აი, მისი შედეგები: სიჭინავა — გოგიჩაიშვილი 1:0, ლეკვეიშვილი — პოპოვი 1:0, ჩაჩიბაია — ტყებუჩავა 0,5:0,5, ლობჟანიძე — შალამბერიძე 0:1, მანაგაძე — ნეჩაევი 0,5:0,5, ტაბატაძე — ხოფერია 1:0, ლექავა—თეიმურაზიანი 0,5:0,5, გოგოლაძე — ხეცურიანი 0,5:0,5.

ამრიგად, I ადგილი 10,5 ქულით თბილისელმა კახა შალამბერიძემ მოიპოვა. 10-10 ქულა მოაგროვეს ბესო ხეცურიანმა (ქუთაისი) და დავით ჩაჩიბაიამ (ცხაკაია). უკეთესი კოეფიციენტის გამო II ადგილი ხეცურიანს მიეკუთვნა. მეოთხე იყო თბილისელი თამაზ ტაბატაძე — 9,5 ქულა. რესპუბლიკის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება ამ ოთხმა მოჭადრაკემ მოიპოვა.

მომდევნო ადგილებზე გავიდნენ: V-VI. გოჩა ტყებუჩავა (ცხაკაია), ნუკრი მანაგაძე (ქუთაისი) —9-9, VII. გიორგი გოგიჩაიშვილი (თბილისი) — 8,5, VIII. რომან სიჭინავა (ცხაკაია) — 8, IX. დავით ლობჟანიძე — 7,5, X. იური ნეჩაევი — 7, XI-XII. ზაზა ხოფერია (ყველა — თბილისი), ნიკოლოზ ლეკვეიშვილი (სამტრედია) —6,5-6,5, XIII. გია გოგოლაძე (ჩოხატაური) — 6, XIV. იანის პოპოვი (თბილისი) — 5,5, XV. ბესარიონ ლექავა (სამტრედია) —3,5, XVI. არტურ თეიმურაზიანი (თბილისი) — 3.

**ბეჟან ჩხაიძე,**
**შეჯიბრების მთავარი მსაჯი.**

## ა. კარპოვ — ა. სოკოლოვის სუპერფინალური მატჩი

# პარტია გადაიდო

**ესპანეთის** ქალაქ ლინარესში გაიმართა ა. კარპოვ — ა. სოკოლოვის სუპერფინალური მატჩის X პარტია, რომელიც 42-ე სვლაზე გადაიდო. შეგახსენებთ, მატჩის ანგარიშია 5,5:3,5 კარპოვის სასარგებლოდ.

## სსრ კავშირის ჩემპიონატი ხელბურთში

# ერთმა ბურთმა გადაწყვიტა

**ეჭვი** არავის ეპარებოდა, რომ უმაღლესი ლიგის ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის აუტსაიდერი — თბილისის „ბურევესტნიკი" გათამაშების ერთ-ერთ ლიდერთან მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდთან შეხვედრაში ეცდებოდა მედგარი წინააღმდეგობა გაეწია სტუმრისათვის. ასეც მოხდა: ახალგაზრდა მწვრთნელის გიორგი ბერიაშვილის აღსაზრდელებმა მეორე წუთზე დ. აბესაძის 7-მეტრიანი საჯარიმო ტყორცნით გახსნეს ანგარიში. მართალია, მოსკოველთა ლიდერი გაგინი მეტწილად გოლით აგვირგვინებდა პარტნიორთა იერიშს, მაგრამ მათ არანაკლებად ზუსტი „რეპლიკებით" პასუხობდნენ ბურევესტნიკელები; მიხუტა, დემეტრაშვილი, ბულია — 4:3, 6:5, 10:9. ტაიმი მაინც მოსკოველებმა მოიგეს — 11:10.

მეორე ტაიმში ჩვენი გუნდი რამდენჯერმე დაწინაურდა — 17:16, 19:17, 20:19, მაგრამ მატჩის ბოლო წუთებში საუკეთესოდ ითამაშა გამოცდილმა მეკარე გოლუბკოვმა. მოსკოველებმა კი ზედიზედ აიღეს ჩვენი გუნდის კარი. მაი-მ ერთი ქულის სხვაობით გაიმარჯვა — 24:23.

ამ დღეს სპორტკლუბ „ტირასპოლისა" და კრასნოდარის სკიფ-ის შეხვედრა კრასნოდარელთა სასარგებლოდ დამთავრდა — 22:20, ჩელიაბინსკის „პოლიოტმა" კი ქულის აღება შეძლო ქვეყნის ჩემპიონთან, მინსკის ასკ-სთან გამართულ მატჩში — 28:28.

გუშინ მორიგი ტურის შეხვედრები ასე დამთავრდა; სკიფი-„პოლიოტი" — 29:23, „ტირასპოლი"-მაი — 23:27, „ბურევესტნიკი"—ასკ — 20:22.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

საქართველოს სპორტსახკომი და ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაცია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სპორტსახკომის სპორტის რეზერვებთან მუშაობის განყოფილების უფროსი, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი

**ოთარ დანიელის ძე ჯებაშვილი**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ინდექსი: 66485. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 280096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, კოშარაულის ქ. 29. უე 05280